ოუფენ ნეტი
OPEN NET

2021

წლიური ანგარიში

ა(ა)იპ ოუფენ ნეტი

ოკუპაციის ციფრული ტრანსფორმაცია

სარჩევი

03 მარიამ სულაბერიძე

04 ოზურგეთის საპილოტე პროექტი

05 საბოლოო ადრესატამდე მისული სარგებელი

06 ქობულეთის საპილოტე პროექტი

07 პროექტი LOG IN GEORGIA

09 ევროპის საინვესტიციო ბანკი

10 2022 წლის გეგმები

მარიამ სულაბერიძე

ოუფენ ნეტის დირექტორი

> საყოველთაო ინტერნეტიზაცია და ახალი შესაძლებლობები სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის

საყოველთაო ინტერნეტიზაცია, რომელსაც ოუფენ ნეტი ახორციელებს, ჩვენი დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია, რომელიც სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ქმნის სრულიად ახალ შესაძლებლობებს. ციფრული თანასწორობის იდეის გარდა, ეს არის სოციალური და ეკონომიკური განახლება, თვითგანათლებისა და განვითარების ახალი მასშტაბები. რაც უფრო დიდია ეს მასშტაბი, მით მეტია პასუხისმგებლობა, რომელიც, გარკვეულწილად, განსაზღვრავს ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობასა და მიზნებს.

გასული წელი ოუფენ ნეტმა მნიშვნელოვანი მიღწევებით დაასრულა: საყოველთაო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასრულდა პირველი საპილოტე პროექტი; გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები კერძო ტელეკომ-ოპერატორებთან, რომლებიც უკვე სარგებლობენ ჩვენ მიერ აშენებული ინფრასტრუქტურით; კერძო სექტორის მხრიდან აქტიურად მიმდინარეობს რეგისტრაციები და მოსახლეობის ქსელში ჩართვა; ქსელის მშენებლობა გავაგრძელეთ ქობულეთის მუნიციპალიტეტში, რომელიც მოიცავს 50 კმ-იანი მაგისტრალის მშენებლობას, 13 დასახლებულ პუნქტს და 10,500 მოსახლეს. შეიძლება ითქვას, რომ უკვე 40 000-მდე მოსახლისთვის შეიქმნა შესაძლებლობა, ისარგებლოს ხარისხიანი ინტერნეტკავშირით.

მოცულობითი და მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა ასევე პროექტ Login Georgia-ს ფარგლებში, რომელიც მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება. 2021 წელს, საერთაშორისო ექსპერტთან ერთად, შემუშავდა მთელი საქართველოს მასშტაბით არსებული ე. წ. თეთრი ზონების კონცეპტუალური დიზაინი და მომზადდა პასიური ინფრასტრუქტურის მშენებლობის სატენდერო დოკუმენტაცია, რომლითაც ოპტიკური ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, გამოცხადდება ყოველი ახალი შესყიდვა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგიონების ციფრული ტრანსფორმაციის მიზნით, მსოფლიო ბანკის შემდეგ, კიდევ ერთმა წამყვანმა ფინანსურმა ინსტიტუტმა, ევროპის საინვესტიციო ბანკმა გამოთქვა საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტში ჩართვის სურვილი, რაც კიდევ ერთი დამატებითი და მყარი გარანტიაა ამ იდეის წარმატებით განხორციელებისთვის.

მადლობას ვუხდი თითოეულ მხარდამჭერს იმ ინიციატივისა და თანადგომისთვის, რომელიც ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

სახელმწიფო პროგრამის პირველი საპილოტე პროექტი

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ოზურგეთის სამიზნე გეოგრაფიულ არეალში დასრულდა პირველი საპილოტე პროექტი, რომელიც მოიცავდა 140 კმ-იანი ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური ინფრასტრუქტურის მშენებლობას. აშენებულმა ინფრასტრუქტურამ მოიცვა 49 დასახლებული პუნქტი 28 500-ზე მეტი მოსახლით. პროექტის განხორციელებით, შეიქმნა შესაძლებლობა რომ თითოეულმა ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა მიიღოს ისეთი ფართოზოლოვანი მომსახურებები, როგორებიცაა - მაღალი ხარისხის ინტერნეტი, ტელევიზია, სატელეფონო და სხვა სერვისები.



ახალი შესაძლებლობები განათლებასა და განვითარებაში

ელექტრონული საგანმანათლებლო პლატფორმები ქვეყნის ფარგლებში და ფარგლებს გარეთ

საგანმანათლებლო რესურსების მრავალფეროვნება

გარემო, სადაც ხელმისაწვდომია: აუდიო, ვიდეო, ფოტო და ბეჭდური რესურსები

ელექტრონული რესურსები აუდიტორული სწავლების პროცესში

შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების ხელშეწყობა

2021 წლის ბოლოსთვის, ადგილობრივმა ოპერატორებმა დაიწყეს ოუფენ ნეტის მიერ აშენებული ოპტიკური ქსელის გამოყენება და პირველ ეტაპზე, მომსახურება მიეწოდა 25 დასახლებულ პუნქტს.

საბოლოო ადრესატამდე მისული სარგებელი

საყოველთაო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის პროექტი წარმატებით დასრულდა - გურიის რეგიონში, 28 000-ზე მეტ მოსახლეს მიეცა შესაძლებლობა ისარგებლოს ელექტრონული ჯანდაცვით, ელექტ-რონული განათლებით, ელექტ-რონული კომერციით და სხვა თანამედროვე სერვისებით.

2021 წელს ა(ა)იპ ოუფენ ნეტმა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში გაიარა ავტორიზაცია და მიენიჭა უფლება, განახორციელოს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება. მიმდინარე წლის 15 აპრილიდან ა(ა)იპ ოუფენ ნეტს უფლება აქვს, განახორციელოს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება შესაბამის სატელეკომუნიკაციო საქმიანობებზე (A.F.4.2 და A.F.4.5), რაც მოიცავს შექმნილი ქსელის ორ ნებისმიერ დაშვების წერტილს შორის, როგორც ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ძარღვის სარგებლობაში გადაცემას, ასევე მონაცემთა გადაცემის არხებით უზრუნველყოფას.

თანამშრომლობა კერძო სექტორთან

ოუფენ ნეტსა და კერძო ტელეკომ-ოპერატორებს შორის გაფორმდა ხელშეკრულებები და დაიწყო მოსახლეობის ქსელში ჩართვა, რაც სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია.

შოთა მიქაძე

„აქტიურად ვთანამშრომლობთ „ოუფენ ნეტთან.” სოფელ მაკვანეთში დავიწყეთ რეგისტრაციები. საამაყოა, რომ გურიაში, კიდევ ერთი მუნიციპალური ერთეულის მოსახლეობას ექნება წვდომა დაბალ დაყოვნებიან და მაღალსიჩქარიან სიმეტრიულ ინტერნეტ-სერვისზე. მადლობა „ოუფენ ნეტს“ ამ შესაძლებლობისთვის“

კომპანია “ეარნეტის” დირექტორი

ეთერ პავლიაშვილი და ამირან გოლიაძე

ხარისხიანი ინტერნეტი ყველასთვის საჭიროა, - განსაკუთრებით დღეს და განსაკუთრებით რეგიონებში. პანდემიის პირობებში ამ საჭიროებამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა. დღეს ჩვენ უკვე მოგვეწოდება ხარისხიანი ინტერნეტი, რაც გვეხმარება და გვიმარტივებს ყოველდღიურობას.

სოფელ მაკვანეთის მკვიდრები

საპილოტე პროექტი - ქობულეთი



გვარა, ზედა კონდიდი, კოხი, ზენითი, ჭახათი, აჭყვისთავი, ცხრაფონა, წყავროკა, ლეღვა, სკურა, ქაქუთი (ქობულეთის მუნიციპალიტეტი), ქაქუთი (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

სამიზნე გეოგრაფიული არეალი

მეორე საპილოტე პროექტის განხორციელება დაიწყო ქობულეთის მუნიციპალიტეტში, რომელიც მოიცავს 50 კმ-მდე ოპტიკური ქსელის მშენებლობას. აღნიშნული ქსელი უზრუნველყოფს დამატებით კიდევ 10,500 მოსახლისა და ასევე, კერძო სატელეკომუნიკაციო ოპერატორებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნას.

ქობულეთის საპილოტე პროექტის სამიზნე გეოგრაფიულ არეალში ოუფენ ნეტის მიერ ჩატარდა შერჩეული მარშრუტის მოკვლევა და მომზადდა ტექნიკური და იურიდიული დოკუმენტაცია.

მთელი წლის განმავლობაში, პროექტის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით გაიმართა არაერთი შეხვედრა მოსახლეობასთან. აღნიშნულ შეხვედრებზე მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია პროექტის ეტაპების შესახებ და ამომწურავად გაეცა პასუხები მათთვის მნიშვნელოვან კითხვებს.

პროექტი LOG IN GEORGIA

> ეს არის განსაკუთრებულად სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტი საქართველოსთვის

სებასტიან მოლინეუსი

„პროექტი, რომელსაც „ოუფენ ნეტი“ ახორციელებს და მხარდაჭერილია მსოფლიო ბანკის მიერ, მიზნად ისახავს ფართოზოლოვანი ინტერნეტკავშირის დანერგვას 500 000 ადამიანისთვის, რაც მოიცავს 1000 სოფელს. მე მჯერა, რომ ეს პროექტი შესაძლებლობებს შეუქმნის სრულიად საქართველოს ეკონომიკური თვალსაზრისით, შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას“

სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი

LOG IN GEORGIA

I კომპონენტი - ფართოზოლოვან ინტერნეტზე წვდომის გაზრდა

ეს კომპონენტი ხელს შეუწყობს ფართოზოლოვან ინტერნეტზე წვდომის გაზრდას სოფლის ტიპის დასახლებებში საქართველოს მასშტაბით და ციფრული განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების გაუმჯობესებას.

II კომპონენტი - ფართოზოლოვანი ქსელის ციფრული სერვისებით სარგებლობის ხელშეწყობა.

ეს კომპონენტი ხელს შეუწყობს საქართველოს ციფრული ეკონომიკის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, პროექტის სამიზნე დასახლებებში გაუმჯობესებული ფართოზოლოვანი კავშირის გამოყენების გაზრდას და მიზნობრივი ინტერვენციებით ქალების, სოციალური უმცირესობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის ციფრული უნარების განვითარებას.

III კომპონენტი - პროექტის განხორციელების მხარდაჭერა

ეს კომპონენტი გულისხმობს პროექტის მართვის, განხორციელებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ხელშეწყობას.

Log in Georgia -ს ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები

I კომპონენტის ფარგლებში, საერთაშორისო ექსპერტთან ერთად, შემუშავდა პასიური ინფრასტრუქტურის კონცეპტუალური დიზაინი, რომელიც მოიცავს ქსელის ტოპოლოგიას და მშენებლობის ტექნიკურ დავალებას.
2021 წელს გამართულ პროექტის საკოორდინაციო ჯგუფის შეხვედრაზე, I კომპონენტის ფარგლებში შემუშავებულ კონცეპტუალურ დიზაინსა და რეგიონების შერჩევის კრიტერიუმებზე დაყრდნობით, პირველი ფაზის სამიზნე გეოგრაფიულ არეალებად შეირჩა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, ქობულეთი-სამტრედიისა და ჩოხატაური-ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები. შესაბამისად, აღნიშნული რეგიონებისათვის შემუშავდა სატენდერო დოკუმენტაცია და ასევე გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმები. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით, ნოემბერში გამოცხადდა და დეკემბრის ბოლოს დასრულდა, ელექტრონული ტენდერები რაჭისა და ლეჩხუმის მიმართულებებზე. ორივე ტენდერი გაიმართა კონკურენტულ გარემოში და მშენებელი კომპანიების მხრიდან დიდი დაინტერესება გამოიწვია.

II კომპონენტის ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპილოტე პროგრამის 49 დასახლებულ პუნქტში, ჩატარდა კვლევითი სამუშაოები. მოსახლეობის გამოკითხვისა და შეფასების საფუძველზე, გამოვლინდა მიმართულებები, რომელთა განვითარებაც ხელს შეუწყობს სოფლად დასახლებული მოსახლეობის ციფრულ სამყაროში ჩართვასა და ახალი ციფრული შესაძლებლობების უკეთ გამოყენებას.
სამიზნე გეოგრაფიულ არეალში მოქალაქეთა და დაინტერესებული მხარეების ადგილობრივ დონეზე ჩართულობის უზრუნველსაყოფად შეირჩნენ ციფრული ელჩი და ციფრული ადაპტაციის პროგრამის კოორდინატორი. ციფრული ელჩი და ციფრული ადაპტაციის პროგრამის კოორდინატორი ასევე განსაზღვრავენ დასახლებების სპეციფიკურ საჭიროებებს და დაეხმარებიან აღნიშნული პროგრამის განხორციელებას ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების მეშვეობით.
ასევე II კომპონენტის ფარგლებში გამოცხადდა მოწვევა ინტერესთა გამოხატვის შესახებ: „უნივერსალური სერვისების დანერგვა საქართველოში“, რომლის მიზანიცაა მეთოდოლოგიებისა და წესების შემუშავება, უნივერსალური სერვისების დებულების სამართლებრივი პოლიტიკის განახლების განხორციელების მხარდასაჭერად, როგორც ეს დადგენილია ევროკავშირის კანონმდებლობით და მოითხოვება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით (AA), 2018 წლის ელექტრონული ევროპული კომუნიკაციების კოდექსის დებულებების (EECC), კონკრეტული დებულებების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს ევროპულ საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
WORLD BANK GROUP
კომუნიკაციების კომისია

კიდევ ერთი წამყვანი ფინანსური ინსტიტუტი - საქართველოს რეგიონების ციფრული ტრანსფორმაციისთვის!

ევროპის საინვესტიციო ბანკი საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტში ერთვება და ევროკავშირის დელეგაციის წევრებთან ერთად, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზენითში, ოუფენ ნეტის მიერ გამართულ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობს.
მსოფლიო ბანკთან ერთად, ევროპის საივესტიციო ბანკის მხარდაჭერა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ცენტრსა და რეგიონს შორის არსებული ციფრული უთანასწორობის დაძლევაში.

კარლ ჰარცელი

საქართველოში ევროკავშირის ელჩი

„დიდი მადლობა ასეთი მიღებისთვის ამ მშვენიერ სოფელში. დღევანდელი შეხვედრიდან კარგად ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გაციფრულების პროცესი იმისთვის, რომ საქართველო კიდევ უფრო განვითარდეს. რეგიონების გაძლიერების მიზნით, ევროკავშირი აქტიურად ერთვება სხვადასხვა პროექტში, რათა საქართველოს მოქალაქეებს გაუზიაროს ციფრული განვითარების სიკეთე და სარგებელი“

ლოურენს მერედიტი

ევროკომისიის სამეზობლო პოლიტიკისა და ინსტიტუციების მშენებლობის დირექტორატის დირექტორი

„მე ინგლისის ჩრდილოეთ ნაწილიდან ვარ და ზუსტად ვიცი, რამდენად მნიშვნელოვანია სოფლის განვითარება და გაძლიერება და ვიცი რამდენად რთულია, როდესაც სოფელს არ აქვს ინტერნეტკავშირი. სწორედ, ამიტომ ვართ დღეს თქვენთან და სხვა პროექტებთან ერთად, მხარს ვუჭერთ საქართველოს გაციფრულებას“

2022 წლის

გეგმები

საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროგრამის ფარგლებში, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, დაგეგმილია ინფრასტრუქტურის მშენებლობები შემდეგი მიმართულებებით:

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

- ამბროლაური
- ონი
- ცაგერი
- ლენტეხი

სამეგრელო და ზემო სვანეთი

- ზუგდიდი
- აბაშა
- ხობი
- სენაკი
- მესტია

იმერეთი

- სამტრედია
- წყალტუბო
- ხონი

გურია

- ჩოხატაური

აჭარა

- ხელვაჩაური

ოუფენ ნეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინტერაქტიული რუკის საშუალებით, დაინტერესებულ საზოგადოებას შეუძლია, თვალი ადევნოს ქსელის მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს, გამოცხადებულ ტენდერებს და არეალებს, სადაც მშენებლობა დასრულდა და სერვისი უკვე მიეწოდება.

ოუფენ ნეტი
OPEN NET

ოუფენ ნეტი
ტელ: 032 240 01 78
ელ-ფოსტა: office@opennet.ge
www.opennet.ge

maps.opennet.ge